

**ადმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ მიერ დაფინანსებული პროექტები მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალებისა და უმცირესობებისთვის**

„კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) წარმოადგენს 5 წლიან პროგრამას, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ და ახორციელებს ადმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). PROLoG-ის მიზანს წარმოადგენს, როგორც მართლმსაჯულების გაძლიერება, სამართლიანობის უზრუნველყოფა, ასევე სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ადამიანის უფლებების დაცვა. პროექტი ორიენტირებულია კანონის უზენაესობის კუთხით არსებული ძირითადი გამოწვევების აღმოფხვრაზე და მართლმსაჯულების და კანონის უზენაესობის სფეროში მიმდინარე იმ რეფორმების ხელშეწყობაზე, სადაც არსებობს შესაბამისი პოლიტიკური ნება ან/და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესი. PROLoG-ის იურიდიული დახმარების საგრანტო პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდა ქალებისა და უმცირესობებისთვის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის გზით.

„საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციას“ და საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ EWMI-თან ხანგრძლივი პარტნიორობა აკავშირებს, ხოლო PROLoG-ის ფარგლებში იურიდიული დახმარების პროექტს ისინი 2015 წლიდან ახორციელებენ. გარდა ამისა, PROLoG-ის მიერ შეირჩა და დაფინანსდა იურიდიულ დახმარების შვიდი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სტრატეგიული სამართალწარმოების გზით ქალებისა და უმცირესობების უფლებების უზრუნველყოფას საერთო სასამართლოებში, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში.

**უმცირესობების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები**



**ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)**

პროექტი უზრუნველყოფს რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდას ისეთ პრობლემებთან დაკავშირებით, როგორც არის, არა-დომინანტი რელიგიური ჯგუფებისთვის რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა, რელიგიური და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების რესტიტუციის არ არსებობის პოლიტიკა, საკულტო ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული პრაქტიკა, ეთნიკურად აზერბაიჯანელი აქტივისტების მიმართ სახელმწიფოს კონტროლის პოლიტიკა, ეთნიკურად აზერბაიჯანელი თემის დაბალი პოლიტიკური რეპრეზენტაციისა და ინტეგრაციის პრობლემა, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მუშაობის გაუმჭვირვალობა, ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა და დისკრიმინაციის შემთხვევები საჯარო სკოლებში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრობლემა, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა LGBT საზოგადოებისთვის და სახელმწიფოს არაეფექტური რეაგირება სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე. პროექტი ითვალისწინებს იურიდიულ კონსულტაციებს და სასამართლო წარმომადგენლობას რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობებისათვის თბილისში, ქვემო-ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და გურიაში. EMC-ის პროექტი მოიცავს ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, მედიისა და რელიგიური ლიდერების წარმომადგენლებისთვის, რელიგიური თავისუფლებისა და დისკრიმინაციის საკითხებზე.

**თბილისი:** აბაშიძის ქ. #12ა  
**ტელ:** 599 043737  
**ელ ფოსტა:** [humanrightsemc@gmail.com](mailto:humanrightsemc@gmail.com)  
**ვებ გვერდი:** [www.emc.org.ge](http://www.emc.org.ge)



### **ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)**

პროექტი უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლების დაცვას, სამართლებრივ დახმარებასა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას რელიგიური, ეთნიკური უმცირესობებისა და იმ პირებისთვის, რომლებიც განიცდიან რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციას; ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზს, სტრატეგიული სამართალწარმოების გზით, დისკრიმინაციული პრაქტიკისა და კანონმდებლობის შეცვლას. პროექტი მიზნად ისახავს ისეთი პრობლემების გადაწყვეტას, როგორცაა, არა-დომინანტური რელიგიური ჯგუფების საკუთრებასთან დაკავშირებით შექმნილი ბარიერები, მათ შორის, ახალი საკულტო ნაგებობების მშენებლობა, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია, რელიგიური ჯგუფების მიერ სახელმწიფო ქონების შექმნა; საგადასახადო უთანასწორობა, საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკა, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, მათ შორის საარჩევნო პროცესში; რასობრივი ნიშნით დისკრიმინაცია, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ბინადრობის ნებართვის მიღება. პროექტი ითვალისწინებს რეგულარულ მონიტორინგსა და სავსე სამუშაოებს თბილისში, აჭარასა და ქვემო ქართლში. TDI იურიდიულ კონსულტაციებს და სასამართლო წარმომადგენლობას გაუწევს ეთნიკურ, რელიგიურ უმცირესობებსა და პირებს, რომლებიც განიცდიან რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციას. ქვემო ქართლში TDI-ს პარტნიორია ორგანიზაცია „საქართველოს აზერბაიჯანელ ახალგაზრდათა კავშირი“.

**თბილისი:** იაკობ გოგებაშვილის ქუჩა #42 ბ  
**ტელ:** (0 32)2912762  
**ელ ფოსტა:** [tdigeorgia@gmail.com](mailto:tdigeorgia@gmail.com)  
**ვებ გვერდი:** [www.tdi.ge](http://www.tdi.ge)

### **ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები**



#### **საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)**

პროექტი უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდას ქალებისთვის და გოგონებისთვის, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომლებიც არიან ოჯახში ძალადობის ან დისკრიმინაციის მსხვერპლნი კულტურული და რელიგიური კუთვნილების გამო. პროექტი უზრუნველყოფს სამართლებრივ კონსულტაციებს და წარმომადგენლობას სამიზნე ჯგუფებისთვის ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ადიგენის, ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტებში, ასევე სტრატეგიულ სამართალწარმოებას საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოში. GDI-ს პროექტის პარტნიორია „ჩართულობის და განვითარების ცენტრი“(CPD). GDI თანამშრომლობს ადგილობრივ ადვოკატებთან, რომლებიც ორგანიზაციის ზედამხედველობის ქვეშ ჩართულები არიან ადგილობრივ საქმეებში.

**თბილისი:** რაფიელ ერისთავის ქ. #3  
**ტელ:** (0 32) 2728008  
**ელ ფოსტა:** [info@gdi.ge](mailto:info@gdi.ge)  
**ვებ გვერდი:** [www.gdi.ge](http://www.gdi.ge)  
**Website:** [www.gdi.ge](http://www.gdi.ge)



## საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება (GTUC)

პროექტი უზრუნველყოფს ქალთა და ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდას სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით ისეთ საკითხებზე, როგორც არის ქალების მიმართ უთანასწორო მოპყრობა სამსახურში წინასახელშეკრულებო ეტაპსა და დასაქმების პერიოდში, დეკრეტული შვებულების შემდგომ ხელშეკრულების დაუსაბუთებლად შეწყვეტა, მოკლევადიანი (3თვემდე) მომსახურების ხელშეკრულების გამოყენება გრძელვადიანი ხელშეკრულების დადებისგან თავიდან არიდების მიზნით და სექსუალური შევიწროვება სამუშაო ადგილებზე. პროექტი ასევე შეისწავლის "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის იმპლემენტაციას ქალთა და სოციალურად დაუცველი ჯგუფების უფლებების თვალსაზრისით. პროექტის მოიცავს ქალთა შრომით უფლებებისა და დისკრიმინაციის საკითხებზე თორმეტი ტრენინგის ჩატარებას თბილისში, ლაგოდეხში, გურჯაანში, სენაკში, ფოთში, ზუგდიდში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, დუშეთში, ყაზბეგში, ონში, ლენტეხში, მესტიაში, რუსთავში, ხელვაჩაურსა და ახალციხეში.

**თბილისი:** ვაჟა-ფშაველას პირველი შეს. **ბათუმი:** კ. გამსახურდიას ქ. #13  
1/43  
ტელ: (0 32) 2390355  
ელ ფოსტა: [info@gtuc.ge](mailto:info@gtuc.ge)  
ვებ გვერდი: [www.gtuc.ge](http://www.gtuc.ge)



## ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)

პროექტი უზრუნველყოფს შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებისთვის, ასევე ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდას, ისეთი პრობლემების საპასუხოდ, როგორც არის სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება ოჯახში ძალადობის, ფემიციდის ან ადრეულ ქორწინების შემთხვევებზე, ასევე სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ ან გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებზე. პროექტი სამიზნე ჯგუფებისთვის უზრუნველყოფს სამართლებრივ კონსულტაციებს და წარმომადგენლობას თბილისში, ქვემო-ქართლში, შიდა ქართლსა და კახეთში, ასევე სტრატეგიულ სამართალწარმოებას საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში (CEDAW).

**თბილისი:** ქანთარიას ქუჩა #11ა **რუსთავი:** მეგობრობის გამზირი #20, ბინა 27  
ტელ: (0 32) 2376950; (0 32) 2454533; (0 32) 2384648  
ტელ: (0 341) 250069  
ელ ფოსტა: [hridc@hridc.org](mailto:hridc@hridc.org)  
ვებ გვერდი: [www.hridc.org](http://www.hridc.org)  
ელ ფოსტა: [rustavi.hridc@gmail.com](mailto:rustavi.hridc@gmail.com)

**გურჯაანი:** ნონეშვილის ქ. #14, III **გორი:** ჭავჭავაძის ქ. №45  
სართული, ტელ.: (0 370) 270718  
ტელ: (0 353) 225070; 599 228652  
ელ ფოსტა: [gurjaani.hridc@gmail.com](mailto:gurjaani.hridc@gmail.com)  
ელ ფოსტა: [gori.hridc@gmail.com](mailto:gori.hridc@gmail.com)



### პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)

პროექტის უზრუნველყოფს ქალებისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდას და მიზნად ისახავს გენდერული უთანასწორობის და დისკრიმინაციული პრაქტიკის სხვადასხვა წრის გამოვლენას და აღმოფხვრას ჯანდაცვის სერვისებში, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებში. PHR სამიზნე ჯგუფებისთვის უზრუნველყოფს იურიდიულ დახმარებას და წარმომადგენლობას თბილისსა და იმერეთის რეგიონში, ასევე სტრატეგიული სამართალწარმოებას საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოში. PHR-ის სამართლებრივი დახმარება დაფუძნებულია სტრატეგიაზე, რომელიც მიზნად ისახავს, ძალადობაგამოვლილი ქალისათვის სამართლებრივ პროცესზე კონტროლის დაბრუნებას, რაც მათ საშუალებას მისცემს იყვნენ გადაწყვეტილების მიმღებნი საკუთარ თავსა და ცხოვრებაზე. დისკრიმინაციით და ძალადობის შედეგად დაზარალებული ქალები პრაქტიკულ ცოდნას შეიძენენ სამართლებრივი მექანიზმების, სახელმწიფო სერვისებისა და ყველა სხვა თავდაცვითი საშუალების შესახებ, აგრეთვე იმის თაობაზე, თუ როგორ შეაგროვონ მტკიცებულებები, დაწერონ საჩივარი და სარჩელი, იმისათვის, რომ მოძალადეებმა აუნაზღაურონ ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანი.

**თბილისი:** ალექსიძის 1, კორპ. #2; ბ.26

ტელ: (032) 2331356;

მობ: +995 591 99 48 15

ელ-ფოსტა [phr.georgia@gmail.com](mailto:phr.georgia@gmail.com)

ვებ გვერდი: [www.phr.ge](http://www.phr.ge)



### საფარი

პროექტი უზრუნველყოფს ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის პრევენციას და ბრძოლას ოჯახში ძალადობის, ქალთა საკუთრების უფლების დარღვევის წინააღმდეგ, ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ქალთა გენიტალიების დასახიჩრების წინააღმდეგ. პროექტი ითვალისწინებს იურიდიული დახმარების გაწევას და სტრატეგიულ სამართალწარმოებას თბილისის, სამეგრელოსა და კახეთის რეგიონებში მცხოვრები ქალებისთვის და გოგონებისთვის. საჭიროების შემთხვევაში, საფარი ფსიქოლოგიურ დახმარებას სთავაზობს ძალადობის მსხვერპლებს. საფარის პროექტი ასევე მოიცავს ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებს, როგორცაა სამუშაო შეხვედრები სახელმწიფოს სტრუქტურის წარმომდგენლებთან გენდერული ძალადობის თემაზე.

**თბილისი:** ქანთარას ქუჩა 11ა

ტელ: (032)2307603

ელ ფოსტა: [unionsapari@gmail.com](mailto:unionsapari@gmail.com)

ვებ გვერდი: [www.sapari.ge](http://www.sapari.ge)

## აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პარტნიორი ორგანიზაციები



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) პროექტის ფარგლებში ახორციელებს ისეთ აქტივობებს, როგორც არის მოწყვლადი ჯგუფებისთვის იურიდიული დახმარების გაწევა სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეების იდენტიფიცირების მიზნით, რითაც შესაძლებელი იქნება მოწყვლადი ჯგუფების და ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა (მათ შორის ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის უზრუნველყოფა), საერთო სასამართლოებში, საკონსტიტუციო



სასამართლოსა და ევროსასამართლოს წინაშე. პროექტი ასევე მიზნად ისახავს სახელმწიფო უწყებების მუშაობაში ხარვეზების გამოვლენას, სასამართლოს წინაშე ბენეფიციარების ინტერესების დაცვას და კარგი პრაქტიკის დამკვიდრებას; თბილისის და რვა რეგიონული ოფისის დახმარებით, საია იურიდიულ კონსულტაციას უწევს ქალებს და უმცირესობების წარმომადგენლებს, ასევე განახორციელებს სასამართლო წარმომადგენლობას საერთო სასამართლოებში, საკონსტიტუციო სასამართლოს და ევროსასამართლოში. მოწყვლადი ჯგუფებისთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით საია ატარებს გასვლით ვიზიტებს რეგიონებში;

**თბილისი:** უზნაძის ქ. 101  
ტელ: (0 32) 2995076  
ელ ფოსტა: [gyla@gyla.ge](mailto:gyla@gyla.ge)  
ვებ გვერდი: [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)

**რუსთავი:** კოსტავას ქ. 15ა/5  
ტელ: (0 341) 255337  
ელ ფოსტა: [pavlenishvili@gyla.ge](mailto:pavlenishvili@gyla.ge)

**თელავი:** 26 მაისის ქ. #13  
ტელ: (0 350) 271371; (0 350) 230745  
ელ ფოსტა: [telavi@gyla.ge](mailto:telavi@gyla.ge)

**დუშეთი:** რუსთაველის ქ. # 29  
ტელ: (0 346) 221554  
ელ ფოსტა: [dusheti@gyla.ge](mailto:dusheti@gyla.ge)

**გორი:** სტალინის ქ. #19, ბინა #1  
ტელ: (0 370) 272646  
ელ ფოსტა: [gori@gyla.ge](mailto:gori@gyla.ge)

**ქუთაისი:** ქანთარას ქ. #11  
ტელ: (0 431) 241192;  
ელ ფოსტა: [kutaisi@gyla.ge](mailto:kutaisi@gyla.ge)

**ოზურგეთი:** გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. #25/10  
ტელ: (0 496) 273138  
ელ ფოსტა: [ozurgeti@gyla.ge](mailto:ozurgeti@gyla.ge)

**ზუგდიდი:** ლალიძის ქ. #3  
ტელ: (0 415) 227770  
ელ ფოსტა: [zugdidi@gyla.ge](mailto:zugdidi@gyla.ge)

**ბათუმი:** გორგასლის ქ. #89  
ტელ: (0 422) 276668  
ელ ფოსტა: [batumi@gyla.ge](mailto:batumi@gyla.ge)



**საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TIG)** სამართლებრივი დახმარების ცენტრების მეშვეობით უზრუნველყოფს უფასო იურიდიული დახმარების გაწევას თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში. იურიდიული დახმარების აქტივობები დაფუძნებულია სტრატეგიულ სამართალწარმოებაზე, რათა მომავალში გავლენა მოახდინოს კანონების და რეგულაციების ცვლილებაზე, ასევე აღსრულების სისტემაზე. მობილური კლინიკების საშუალებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოს“ იურისტები ახორციელებენ იურიდიულ მომსახურებას რეგიონებში მცხოვრები პირებისთვის. ძირითადი ფოკუსი არის იმ რეგიონებზე, სადაც სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების და საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები ფიქსირდება.

**თბილისი:** აღმაშენებლის ქ. #61  
ტელ: (0 32) 2601508  
ელ ფოსტა: [alac@transparency.ge](mailto:alac@transparency.ge)  
ვებ გვერდი: [www.transparency.ge](http://www.transparency.ge)

**ქუთაისი:** თამარ მეფის ქ. #21  
ტელ: (0 431) 254531  
ელ ფოსტა: [alac@transparency.ge](mailto:alac@transparency.ge)

**ბათუმი:** ფარნავაზ მეფის ქ. #74  
ტელ: (0 422) 294488  
ელ ფოსტა: [alac@transparency.ge](mailto:alac@transparency.ge)

**ზუგდიდი:** ცოტნე დადიანის ქ. #2  
ტელ: (0 415) 223720  
ელ ფოსტა: [alac@transparency.ge](mailto:alac@transparency.ge)

#### ეკატერინე ბოკუჩავა

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის განვითარების დირექტორი, EWMI - PROLoG  
ტელ: 0322 505404 (ext: 210) ელფოსტა: [ebokuchava@ewmi.org](mailto:ebokuchava@ewmi.org)